საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

ძვირფასო მედიატორებო, გილოცავთ პროფესიულ დღეს!

მინდა გისურვოთ პროფესიული წარმატება, განვითარება და მუდამ კმაყოფილი პროცესის მხარეები, კმაყოფილი ჩვენი მაღალპროფესიული და ეთიკური სტანდარტებით განხორციელებული საქმიანობით.

მინდა გთხოვოთ, ყოველი ჩვენი პროფესიული აქტივობა, ჩვენი საქმიანობა, ინდივიდუალური თვითგამოვლინება დავუკავშიროთ პროფესიის ხვალინდელ დღეს.

გვახსოვდეს მუდამ, ჩვენს უკან პროფესიის კეთილი სახელი, სანდოობა და კოლექტიური რეპუტაცია დგას.

თითოეული ჩვენთაგანის დღევანდელი პროფესიული საქმიანობა, არის მედიატორის პროფესიის ხვალინდელი დღე! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ პროფესიულ დღეს და ჯანმრთელობას გისურვებთ!

ირაკლი ყანდაშვილი
თავმჯდომარე

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეული

საზოგადოებაში მედიაციის, შეთანხმების კულტურის დანერგვა მნიშვნელოვანია!
იგი განმუხტავს სასამართლო სისტემას და მის საქმიანობას კიდევ უფრო ეფექტიანს და სანდოს გახდის. ეს კანონის უზენაესობის დამკვიდრების და რეალიზების წინაპირობაა, რაც დაგვაახლოებს ქვეყნის მთავარ პრიორიტეტთან - ევროპული განვითარების გზასთან.

სალომე ზურაბიშვილი
საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტი სრულიად იზიარებს და მხარს უჭერს, რომ მედიაცია წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ნებაყოფლობით მექანიზმს, რომელიც დავის მხარეებს აძლევს საშუალებას მათ წინაშე არსებული დავა გადაწყვიტონ თავად, მათ ინტერესზე მორგებული საბოლოო გადაწყვეტილებით აღმოფხვრან უშუალოდ კონფლიქტის საფუძვლები და დარჩნენ კმაყოფილნი.

არჩილს თალაკვაძე
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

www:// mediators.ge info@mediators.ge (+995 32) 290 59 00

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ნიკოლოზ მარსაგიშვილმა გულითადად მიულოცა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა“ და მედიატორებს პროფესიული დღე.

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და ბიზნესომბუდსმენის აპარატს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმდა.

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეული

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“-სა და საქართველოს ბიზნეს ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“- სა და უკრაინის მედიაციის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

www://mediators.ge info@mediators.ge (+995 32) 290 59 00

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებით წლის შემაჯამებელი შეხვედრა გამართა.

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ონლაინ ფორმატში გაიმართა ვებინარი თემაზე – „სასამართლო და კერძო მედიაციის საკანონმდებლო გარანტიები საქართველოში“.

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეული

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში “საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა” და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) წევრებისთვის ონლაინ ტრენინგი გაიმართა მედიაციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, გერმანელი ექსპერტის ხელმძღვანელობით გაიმართა “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” წევრებისთვის პროფესიული განვითარების კურსი აქტიური “მოსმენის უნარები მედიაციაში”.

www:// mediators.ge info@mediators.ge (+995 32) 290 59 00

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“, საქართველოს პროფესიული კავშირისა და დამსაქმებელთა ასოციაციის ერთობლივი ინიციატივით, ონლაინ ფორმატში, გაიმართა ვებინარი თემაზე - „შრომითი დავების მედიაციის გზით გადაწყვეტა“.

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით და მისი ექსპერტის, ჯეიმს მოლიტერნოს მონაწილეობით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანიც დისციპლინური სამართალწარმოების წესის პროექტის განხილვა იყო.

მედიატორის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეული

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

www:// mediators.ge

info@mediators.ge

(+995 32) 290 59 00